

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისად წარმოდგენილია
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თბილისი

2019 წლის 20 სექტემბერი

შპს „ლიდერ სისტემ“ ფინანსური ანგარიშგების შედეგები
2018 წლის 31 დეკემბრისათვის

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე -----	3
საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) -----	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი -----	6
კაპიტალის ცვლილებების ანალიზი -----	7
განმარტებითი შენიშვნები -----	8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე
2018 წლის 31 დეკემბრისთვის

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს-ის „ლიდერ სისტემ“ დირექტორი



დავით მჭედლიძე

შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2018
ნეტო ამონაგები	6.8.1.	9 152 246
საქონლის გაყიდვიდან		9 152 246
სულ შემოსავალი		9 152 246
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6.8.3.	- 6 118 572
საწყისი მარაგები	-	2 827 810
მარაგების შესყიდვა	-	5 712 670
საბოლოო მარაგები		2 421 908
საერთო მოგება		3 033 674
სხვა შემოსავალი		24 428
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	6.8.6.	- 858 470
ცვეთა და ამორტიზაცია	6.8.7.	- 212 785
საპროცენტო ხარჯი	-	367 011
იჯარის ხარჯი	-	680 322
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6.8.9.	- 936 241
სულ საოპერაციო ხარჯი	-	3 030 401
საოპერაციო მოგება		3 273
გაუფასურების ხარჯი რევერსირება		3 273
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		25 188
მოგების გადასახადი	-	21 915
მოგება/(ზარალი)		21 915
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		
ძირითადი საშუალების გადაფასების რევერგი		
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	21 915
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	-	8 747 960
ახალი აქციების გამოშვება		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში/ზარალში	-	21 915
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	8 769 875

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს :

შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

დირექტორი

/დავით მჭედლიძე/

აუდიტორი (SARAS-A-933472)

/სოლომონ ექვთიმიშვილი/

შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფულადი სახსრები	5.1.	220667	201237
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5.21.	1129047	573317
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5.9.	2421908	2827810
სხვა მიმდინარე აქტივები		62842	7473
სულ მიმდინარე აქტივები		3834464	3609837
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.17.	366554	597757
არამატერიალური აქტივები	5.19.	8340	8340
სულ გრძელვადიანი აქტივები		374894	606097
სულ აქტივები		4209358	4215934

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	5.24.	2732307	4067264
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	5.25.1.		104439
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები (გადასახდელი ხელფასები)	5.25.2	3773	3036
სულ მიმდინარე ვალდებულება		2736080	4174739

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5.20.	10243153	8789155
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		10243153	8789155

სულ ვალდებულება

12979233 12963894

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი		10000	10000
დაგროვილი ზარალი		-8779875	-8757960
სულ კაპიტალი		-8769875	-8747960

სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

4209358 4215934

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს :

შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

დირექტორი

/დავით მჭედლიძე/

აუდიტორი (SARAS-A-933472)

/სოლომონ

ექვთიმეშვილი/

შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018 წელი
საოპერაციო საქმიანობა	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	9 039 376
მიღებული ავანსები	3 754
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	9 043 130
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(6 169 515)
შრომის ანაზღაურება	(746 775)
მივლინება	(24 701)
გადახდილი გადასახადები	(1 644 098)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 447 565)
იმპორტის გადასახადი	(1 848)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(991 372)
საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	3 180 546
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	3 180 546
დივიდენდების გადახდა	
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(2 106 593)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(18 060)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1 055 893
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	64 521
სავალუტო კურსის ეფექტი	(45 091)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	201 237
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	220 667

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს :
შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

დირექტორი

/დავით მჭედლიძე/

აუდიტორი (SARAS-A-933472)

/სოლომონ ექვთიმიშვილი/

შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო N401963899)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის		-9 632 550		-9 632 550
მოგება / (ზარალი)		-830 760		-830 760
დივიდენდის გამოცხადება				0
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		-8 801 790		-8 801 790
მოგება / (ზარალი)		-21 915		-21 915
დივიდენდის გამოცხადება				0
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		-8 779 875		-8 779 875

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს :
შპს „ლიდერ სისტემ“ (საიდენტიფიკაციო
N401963899)

დირექტორი

/დავით მჭედლიძე/

აუდიტორი (SARAS-A-933472)

/სოლომონ ექვთიმიშვილი/

განმარტებითი შენიშვნები

შპს „ლიდერ სისტემ“ 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ლიდერ სისტემ“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 26 ოქტომბერს. საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ჰაიკ საჩატრიანი (პირადი №AM0270519, სომხეთის რესპუბლიკა).

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- სამშენებლო მასალებით ვაჭრობა (საცალო-საბითუმო);
- ფეხსაცმლით, ჩანთებითა და ტანსაცმლით საცალო ვაჭრობა;
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშგაღებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- ადმინისტრაციული განყოფილება;
- ფინანსური განყოფილება;
- სამშენებლო მასალების გაყიდვების მენეჯერები;
- ფეხსაცმლის, ჩანთებისა და ტანსაცმლის გაყიდვების მენეჯერები;

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

კომპანიის პროდუქციის ძირითადი ნაწილი იყიდება ქ. თბილისში. 2018 წელს განხორციელდა ხარჯების ოფტიმიზაციის პროგრამა და 2018 წლის ზარალი, 2017 წლის მონაცემთან შედარებით 808 ათასი ლარით შემცირდა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა 2019 წლისთვის გაგვეკეთებინა ოფტიმიზებული პროგნოზი.

ვფიქრობთ, ხარჯების ოფტიმიზაციისა და გაყიდვების ზრდის ფონზე კომპანიას აქვს შესაძლებლობა მომავალი ფუნქციონირების. ამასთან, დამფუძნებლის დამატებითი შენატანები და მიზნობრივი დაბალპროცენტიანი სესხები შეგვინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას და შევძლებთ გავაგრძელოთ კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

3.1. 2018 წელს განხორციელდა ხარჯების ოფტიმიზაციის პროგრამა, დაიხვეწა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

3.2. 2018 წლიდან საწარმომ დანერგა გაყიდვების ახალი სისტემა.

3.3. 2018 წლიდან საწარმომ დანერგა საგადასახადო ვალდებულებების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისტემა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მსს-ის ფასს სტანდარტებს. ამასთან, შესაძლებლობას იძლევა სისტემატიურად განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და გადასახადების სახეობების მიხედვით ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე ასახული ინფორმაციის ურთიერთ შესაბამისობას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მოხდა პირველად.

4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.4. საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:**5.1. ფულადი სახსრები:**

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

დასახელება	ანგარიში +	31.12.2017 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	16250	17990
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210	182677	201528
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1220	2311	1149
სულ ჯამი		201237	220667

5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
საქონელი	1610	2787574	2381334
საწვავი	1621	8171	5278
სარეკლამო მასალები	1622	16746	19978
მუყაოს გომრები წებოცემენგისთვის	1623	91	91
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1690	14944	14944
ბარბერის მაღაზიის ინვენტარი	1691	178	178
ოფისის აღჭურვილობა	1692	106	106
სულ ჯამი		2827810	2421908

მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით. ამასთან, საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.5. ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით. გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
ოფისის აღჭურვილობა	2160	486314	508740
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	2260	-208591	-230847
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2170	1075629	1077725
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	2270	-991627	-1018921
სატრანსპორტო საშუალებები	2180	124084	125463
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	2280	-86372	-95162
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2190	1108324	1046276
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ. ცვეთა	2290	-910003	-1046719
სულ ჯამი		597757	366554

მრავალწერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

5.6. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია საავტორო უფლებები ახალ პროდუქციაზე და სამარკო ნიშანი, მაგრამ რადგანაც ისინი შექმნილია საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯებით, არამატერიალურ აქტივად აღიარებული არ არის და მიკუთვნებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯებზე. თუმცა, საწარმოს გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ასახულია არამატერიალური აქტივის სახით;

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
სხვა არამატერიალური აქტივები	2590	9726	9726
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	2690	-1386	-1386
სულ ჯამი		8340	8340

5.7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

საწარმოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, კერძოდ, დამფუძნებლის ჰაიკ ხაჩატრიანის სესხი – 2 763 178 ლარი, ხოლო, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ არსებული სესხი საერთო ჯამში – 7 479 974 ლარის ოდენობით.

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
მოკლევადიანი სესხები	3210	270661	682403
სესხები პარტნიორებისგან	3220	2773460	3887292
გადასახდელი პროცენტები	3410	1522876	197594
გრძელვადიანი სესხები	4140	4222159	5475863
სულ ჯამი		8791172	10245171

5.8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	572024	1129189
პრობლემური კლიენტები	1411	1580	1339
სისტემური დეპოზიტები	1412	-286	-286
საგარანტიო ფონდი 10%	1413	0	-1484
ფონდი	1414	0	-80
ქეშბექები კლიენტებზე	1416	0	370
სულ ჯამი		573317	1129047

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	0	58407
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160	681	97
გადასახდელი ხელფასები	3130	3397	3469
დისკრიბუტორების მანქანის ცვეთა	3162	43	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	687	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	1491	2951
საბაკოსთვის გადახდილი ავანსები	1485	1176	-2082
სულ ჯამი		7473	62842

5.9. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	4067264	2732307

5.10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:**5.10.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები**

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	22472	-5333
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	3332	10188
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	139263	48337
გადახდილი დღგ	3340	-55780	-45794
ქონების გადასახადი	3380	-4848	-7398
სულ ჯამი		104439	0

5.10.2. გადასახდელი ხელფასები:

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის დარჩენილი აქვს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, ვინაიდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი ასახულია შესაბამის მუხლში განცალკევებულად.

დასახელება	ანგარიში +	2017	2018
დისკრიბუტორების მანქანიე იჯარა	3161	2350	2350
პრემიები	3131	686	108
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	0	70
დისკრიბუტორების მანქანის ცვეთა	3162	0	1245
სულ ჯამი		3036	3773

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადაფადებული მოგების გადასახადის სახით. ვინაიდან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადის ბაზას არ წარმოადგენს მიიღებული მოგება, ხოლო ფინანსურ მოგების გადასახადთან სხვაობის აღრიცხვის წესი განსაზღვრული შემთხვევისათვის რაიმე ინსტრუქციით ან სხვა სარეგულმდებლო ხასიათის მეთოდური მითითებით რეგლამენტირებული არ არის, საწარმომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

6.5. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

6.5.1. ამონაგები:

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
შემოსავალი რეალიზიციიდან	6110	8979714
პრომო-აქციებით ღარიგებული	6111	153813
საგარანგიო მომსახურებისთვის გამოყენებული საქონელი	6113	42
თანამშრომლების უნიფორმებზე დაკავებული თანხა	6114	1334
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	6115	14390
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6190	175
სულ ჯამი		9152246

6.5.2. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი:

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
კონვერტაცია	8111	7320
თანამშრომლებისგან დაკავებული ხელფასი	8118	1688
საკურსო სხვაობა	8115	13314
სულ ჯამი		24428

6.5.3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით.

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
გაყიდული/შეძენილი საქონელი	7210	6118572

6.5.4. თანამშრომელთა ხელფასები

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
შრომის ანაზღაურება	7410	743774,9
პრემიები	7414	114695,3
სულ ჯამი		858470,1

6.5.5. ცვეთა და ამორტიზაცია:

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
ცვეთა და ამორტიზაცია	7455	212785

6.5.6. საოპერაციო იჯარა:

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
საიჯარო ქირა	7420	680322,5

6.5.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
რეკლამის ხარჯები	7310	132811
შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო	7320	41971
სემინარები/ტრენინგები	7321	42206
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	7340	19790
დისტრიბუტორების მანქანების იჯარა/ამორტიზაცია	7342	22076
GPS მოწყობილობების მომსახურება	7347	2220
გაყიდული საქონლის საგარანტიო მომსახურება	7355	2281
მიწოდების სხვა ხარჯები	7390	16073
მიწოდების ხარჯები	7412	23434
წარმომადგენლობითი ხარჯები	7413	18671
საკონსულტაციო ხარჯები	7450	20625
კომუნალური ხარჯები	7421	37062
დაცვა, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაცია	7422	7824
საწვავი	7423	4627
საწვავი (უსაბუთო)	7424	4156
AS Sales Management 6 სისტემის მომსახურება	7426	2839
კომუნიკაციის ხარჯები	7430	5391
ინტერნეტი	7431	35346
დასუფთავება	7432	3188
წყალი	7433	631
საბანკო ხარჯები	7434	66622
დაზღვევა	7435	21085
იურიდიული მომსახურება	7436	12000
რემონტი (ავტომობილი)	7439	3771
რემონტი (სხვადასხვა)	7440	1708
საქონლის გადმოგვირთვასთან დაკ. ხარჯები	7442	6891
საღარიბო აპარატების მომსახურება	7443	630
კომპიუტერის ხარჯები	7445	8390
საკანცელარიო ხარჯები	7446	2759
საოფისე ხარჯები	7447	11594
Tax Free-სთან დაკავშირებული ხარჯები, ჩ.გ.დ.-ბი	7451	1219
რეგისტრაცია, სანოგარო ხარჯები, თარგმანები	7452	1118
ტრენინგები-შეხვედრები	7453	12213
სომეხი თანამშრომლების ბინის ქირა/კომუნალურები/საწვავი	7462	26168
სხვა საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)	7465	10699
ავტომობილის რეცხვა	7468	1023

სხვა საერთო ხარჯი	7490	10944
ჩამოწერილი დაზიანებული საქონელი/სემინარებზე სარეზერვო ნიშნულზე გამოყენებული	8226	3263
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8290	71960
არასაოპერაციო მარაგი	8220	11486
პრომო-აქციებით დარიგებული საქონელი	8225	207477
სულ ჯამი		936241

6.5.8. საპროცენტო ხარჯი:

დასახელება	ანგარიში	31.12.2018
საპროცენტო ხარჯები	8210	367011

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;

7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან, მიღებული ავანსები და გადახდილი თანხების უკან დაბრუნება;

7.3. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია მომწოდებლებზე გადახდილი თანხები, შრომის ანაზღაურება, იჯარა და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები; ამასთან, მოცემულ ჯგუფში შეტანილია იმპორტის გადასახადი, შეცდომით მიღებული თანხები, რომელთა დაბრუნებაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში და სხვა საოპერაციო ხარჯები;

7.4. ძირითად აქტივების შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებული საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

7.5. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. დასკვნითი ნაწილი

8.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 10 სექტემბერს;

8.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი

/დავით მჭედლიძე/

აუდიტორი (SARAS-A-933472)

/სოლომონ ექვთიმიშვილი/

შპს „ლიდერ სისტემი“-ს (ს.5401963899)

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

კომპანია შპს „ლიდერ სისტემი“-ს ძირითად საქმიანობაა საქართველოში სამშენებლო მალასებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ბრენდული ტანსაცმლის საცალოდ რეალიზაცია კერძოდ, კატეგორიების მიხედვით:

სამშენებლო მასალებით ვაჭრობა (საცალო საბითუმო)

ფეხსაცმლით ვაჭრობა (საცალო)

ჩანთებით ვაჭრობა

ტანსაცმლით ვაჭრობა (საცალო)

ბიჟუტერიით და აქსესუარებით ვაჭრობა

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია შპს „ლიდერ სისტემი“ დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კომპანიის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასწმეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 26 ოქტომბერს.

2.2. კომპანიის დირექტორია - 01022003594, დავით მჭედლიძე, ხოლო საწარმოს კაპიტალში 100%-იან წილს ფლობს სომხეთის მოქალაქე ჰაიკ ხაჩატრიან, AM 0270519.

კომპანიის მისამართია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულისა და ელიავას ქუჩებს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის.

კომპანიის ფილიალებია:

ბარბერი - 0105, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, თავისუფლების მოედანი 2

ლიდერ სისტემ - 6000, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქ. 16

ლიდერ სისტემ - 4600, იმერეთი, ქუთაისი, სულხან-საბას ქ. 51

3. კომპანიის სტრუქტურა:

3.1. კომპანიას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ♦ ადმინისტრაციული განყოფილება სადაც შედის დირექტორი;
- ♦ ფინანსური განყოფილება;
- ♦ ბუღალტერია;
- ♦ ტანსაცმლის მაღაზიის მენეჯერი;
- ♦ საცალო გაყიდვების კონსულტანტები მაღაზიაში;

კომპანიაში 50-მდე ადამიანია დასაქმებული.

4. ბიზნეს რისკების განხილვა:

კომპანია შპს „ლიდერ სისტემი“ იმპორტირებს და შემდეგ რეალიზაციას უწევს დიდი რაიდეზობით დასახელების პროდუქტს. კომპანიის პროდუქციის ერთ-ერთი მთავარი აქცენტი რომელიც გამოირჩევა უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალების ფართო სერიებით. ასორტიმენტი გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, დახვეწილი დიზაინით და რაც მთავარია ხელმისაწვდომი ფასებით.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ლიდერ სისტემი“ დირექტორი



დავით მჭედლიძე